ანგარიში სარეკორდო უნდა ყოფილიყო

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 1 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ნისტრუ” (კიშინიოვი) 4:2 (2:0).

“დინამო”: გაგოშიძე (გოგია), ძოძუაშვილი, ჭელიძე, მუჯირი (გ. მაჩაიძე), ებრალიძე, გავაშელი, მჭედლიშვილი, ასათიანი, გუცაევი, მ. მაჩაიძე, წერეთელი.

“ნისტრუ”: კარევი, ტაბაჩუკი, ტეგლეცოვი, რიბაკი, გასპერსკი, სიმონენკოვი, კონსტანტინოვი, ლეკსინი (კარასი), პიუნოვსკი (კუცევი), მიხაილოვი, ნადეინი.

მსაჯი: ვ. ვიხროვი (კიევი).

დუბლიორები – 2:1.

მატჩის დასაწყისი ცუდს თითქოს არაფერს უქადდათ სტუმრებს. გათამაშების ცხრილში მეტოქენი ერთმანეთის მეზობლად იყვნენ და უპირატესობა “ნისტრუს” მხოლოდ ბურთების სხვაობაში ჰქონდა – 13:15, დინამოელების ბალანსი ასეთი იყო – 5:12.

დაიწყო თუ არა შეხვედრა, სტუმრებმა მყისვე იერიში წამოიწყეს. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი საბრძოლველად იყვნენ განწყობილი და მშვიდობიანი ფინალი ხელს არ აძლევდათ. განსაკუთრებით აქტიურობდა “ნისტრუს” გუნდის ორივე ფრთა. ლეკსინ–პიუნოვსკისა და მიხაილოვ–ნადეინის დუეტმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა დინამოელთა კართან, მაგრამ თბილისელთა დაცვა სათანადო სიმაღლეზე იდგა და ამ იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. მე–5 წუთზე გუცაევმა მიიღო გადაცემა, გაექცა თავის მეურვეს და ზედ კარის წინ ჩააწოდა ბურთი, სადაც ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა წერეთელი და მისი უძლიერესი დარტყმის მოგერიება შეუძლებელი იყო 1:0.

პირველ მარცხს კიშინიოველმა ფეხბურთელებმა შეტევებით უპასუხეს, მაგრამ მათი ყოველი ცდა თბილისელთა კარის მისადგომებთან იფუშებოდა. ორ შემთხვევაში კარგად ითამაშა მეკარე გაგოშიძემ. 39–ე წუთზე მ. მაჩაიძემ ბურთიანად გვერდი აუარა “ნისტრუს” მცველებს, დროზე შენიშნა კარის სიახლოვეს მყოფი წერეთელი და ზუსტად გადააწოდა მას ბურთი. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა კვლავ მიზანს მოხვდა 2:0.

რაც შესვენების შემდეგ მოხდა მინდორზე, ძნელი წარმოსადგენი იყო. ინიციატივა მთლიანად ხელთ იგდეს მასპინძლებმა. დინამოელთა დირიჟორს ასათიანს გრძელი ზუსტი გადაცემებით გაჰყავდა სტუმრების კარის ასაღებად ხან მ. მაჩაიძე, ხან წერეთელი და გუცაევი. ამ მომენტში “ნისტრუს” დაცვას მარტო ბზარი კი არ გაუჩნდა, არამედ მთლიანად მოიშალა მისი მექანიზმი. კარის აღების ამდენი შესაძლებლობა, რაც გვახსოვს, თბილისელებს არ ჰქონიათ. მაგრამ ამ უამრავი საგოლე მომენტიდან ფეხბურთელებმა მხოლოდ ორი გამოიყენეს. ორივე გოლი გუცაევმა გაიტანა. 4:0. ამის შემდეგაც არ შეუნელებიათ დინამოელებს იერიშები, “ნისტრუს” კარი ბარე ხუთჯერ ბეწვზე ეკიდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტებში რაღაც სასწაულით ხელუხლებელი რჩებოდა.

მაყურებელი თბილისელთა ახალი წარმატების მოლოდინში იყო, რომ სტუმრებმა მარჯვენა ფრთაზე გაითამაშეს კომბინაცია და ნადეინმა უძლიერესი დარტყმით ბურთი გოგიას კარში გაგზავნა. თბილისელთა მეკარეს ვერ დავადანაშაულებთ. როგორც იტყვიან ეს იყო აუღებელი გოლი. გატანილმა ბურთმა თითქოს ახალი სული შთაბერა სტუმრებს. ისინი სულ უფრო ხშირად უტევდნენ

თბილისელთა კარს და 2 წუთის შემდეგ კვლავ მიაღწიეს წარმატებას. ბურთი გაიტანა კარასმა.

ვერ ვიტყვით, რომ “დინამომ” მონდომებით არ ითამაშა, არა. ყველა აზრიანად მოქმედებდა, დაკისრებულ საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებდა, მაგრამ, გოლის გატანისთვის აშკარად ხელსაყრელ მომენტებში თავდამსხმელები ჩქარობდნენ და ბევრ შემთხვევაში უკეთეს მდგომარეობაში მყოფ პარტნიორს ვერ ამჩნევდნენ.

ანგარიში სარეკორდო უნდა ყოფილიყო, მაგრამ თბილისელები მხოლოდ ორი ბურთის სხვაობით გამარჯვებას დასჯერდნენ. ზეგ თბილისის “დინამოს” მეტად სახიფათო მეტოქე ჰყავს თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში კიევის “დინამოს” სახით. კიეველები ყველაფერს იღონებენ, რომ შინ მინიმალური ანგარიშით მოგება შეინარჩუნონ და ფინალისტები გახდნენ. ჩვენს დინამოელებს კი მეტი მონდომების, სიზუსტისა და სიფხიზლის გამოჩენა მართებთ, რათა ფეხბურთის ათასობით მოყვარულის იმედი გაამართლონ.

ზ. ჯანდიერი.
“ლელო”, 3 ივლისი, 1974 წ.